# საპროექტო ტერიტორიის სახელოვნებათმცოდნეო-ანალიტიკური კვლევა

## ქ. თბილისი. ლადო გუდიაშვილის ქ. №2

ლადო გუდიაშვილის შესახვევის მიმდებარე მიწის ნაკვეთი: №01.15.04.026.004 და №01.15.04.026.002




აეროფოტო 2010

შემსრულებელი:

ხელოვნებათმცოდნე: მაია იზორია

თბილისი

2012

## მდებარეობა

ახალმშენებარე ობიექტის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში – გარეთუბანში. მიწის ნაკვეთი განფენილია მთის ფერდის ორ ტერასად მოვაკებულ რელიეფზე. რომელიც მოქცეულია ერთმანეთის პარალელურად განვითარებულ **შოთა რუსთაველის პროსპექტისა და ლადო გუდიაშვილის ქუჩის დასაწყისშივე გაყვანილ ლადო გუდიაშვილის შესახვევის** პერპენდიკულარული ღერძის გასწვრივ.




უბნის ამ მონაკვეთში ისტორიულ ნაგებობებთან ერთად ჩართულია უახლოეს წარსულში აღმართული მოცულობებიც, რომლებიც სტილისტური სხვაობის მიუხედავად, არ არღვევენ განაშენიანების მხატვრულ-არქიტექტურულ მთლიანობას.

მიწის ნაკვეთს ლ.გუდიაშვილის შესახვევის მხარეს ემიჯნება საქართველოს სახელმწიფო ისტორიის მუზეუმის (რუსთაველის გამზირი №3, ლ.გუდიაშვილის ქ.№10) შენობათა ანსამბლი. საპირისპირო მხრიდან უახლოვდება საცხოვრებელი (რუსთაველის გამზირი №1) და საზოგადოებრივი (№7 აღნიშნავს თავისუფლების მოედანზე რეკონსტრუქციაში მყოფ ყოფილი ცეკავშირის შენობას) დანიშნულების თანამედროვე ნაგებობების მთელი კვარტალი. ლ.გუდიაშვილის ქუჩიდან მიწის ნაკვეთს მოპირდაპირე მხარეს ესაზღვრება საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი და მისი საცავის თანამედროვე შენობა (ლ.გუდიაშვილის №1).

არასწორი ტრაპეციისებური ფორმის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო რუკა, სარეგისტრაციო №29731/2005, ფართი 1129კვ.მ., მესაკუთრე შ.პ.ს. „ლიზინგი XXI“) ზედა ვიწრო ზოლით ამოდის პროსპექტის სივრცეში, სიგრძეზე ლ.გუდიაშვილის შესახვევს, მაქსიმალურ სიგანეზე კი ლ.გუდიაშვილის ქუჩის პერიმეტრს მიუყვება. ლ.გუდიაშვილის შესახვევის საპირისპირო მხარეს გარს უვლის საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოში შემავალი გზა და მისი მიმდებარე ფართი. მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივი საქმიანობის ზონაში და განკუთვნილია ამავე ფუნქციის ახალმშენებლობისათვის, რომლის ნაწილობრივ ამოყვანილი მოცულობა ქვედა ტერასაზე იკავებს ლ.გუდიაშვილის ქუჩის პერიმეტრს და ორივე მხარეს სიგანით იხსნება ლ.გუდიაშვილის შესახვევისა და













პროსპექტზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოში შემავალი ვიწრო გზისაკენ, რომლის სიღრმეში პროსპექტის მიმართულებით დამრეცი კუთხით იჭრება. მშენებარე მოცულობას აქედან გარს აკრავს ზედა ტერასაზე გაშლილი არასწორი მოყვანილობის ფართო ეზო.

საპროექტო ტერიტორია პროსპექტისა და ლ.გუდიაშვილის ქუჩის ორივე დონეზე საწყის მონაკვეთზე ხვდება. მისი აღქმა ძირითადად შესაძლებელია

ლ.გუდიაშვილის სწორი და ვიწრო ქუჩის საზღვრებში. ამ მხარეს იგი შორი მანძილიდან მოჩანს თავისუფლების მოედნის ჩრ-აღმ. ნაწილის რაკურსებიდან და





ლ.გუდიაშვილის ქუჩის გადამკვეთი ნ.ვაჩნაძისა და ა.ფურცელაძის აღმა ამავალი პერპენდიკულარული ქუჩების გზაჯვარედინთა გაშლილი სივრციდან. პროსპექტისაკენ ეზო იხსნება მეტროპოლიტენის სადგურისა და მოსწავლეთა სასახლის მესერით დაცული ბაღისაკენ.

უბნის ამ მონაკვეთში მდებარეობს არაერთი არქიტექტურული ძეგლი და ძეგლის ნიშნის მქონე ნაგებობა: საპროექტო ტერიტორიის შორიახლოს განთავსებულია არქიტექტურული ძეგლები: შოთა რუსთაველის გამზირი №№1,3,5,6,8,9., ლადო გუდიაშვილის ქ. №№3,5,9,11.

## უბნის არქიტექტურულ-ისტორიული განვითარება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისტორიული გარეუბნის **შუა კარის** მიკროუბანში**,** რომლიც მოქცეული იყო დღევანდელი თავისუფლების მოედნის მიდამოებში, **რუსთაველის პროსპექტისა და ლადო გუდიაშვილის ქუჩას შორის, სადაც დგანან მუზეუმები.** ლ.გუდიაშვილის, ნ.ვაჩნაძის, ა.ფურცრლაძისა და ჯორჯაძის ქუჩებს შორის არსებული მონაკვეთი გარეუბნის შემადგენელი კალოუბანია. ამ ადგილებში (სოლოლაკიდან ალექსანდრეს ბაღამდე) XVII-XVIII საუკუნეებიდან სახლობდნენ ქართველი არისტოკრატები. მათი საბინადროების შორიახლოს აღმართულნი იყვნენ კალოუბნის წმ. გიორგის, ქვაშვეთისა და სომხური ვანქის გალავანშემორტყმული ეკლესიები, ირგვლივ მოწყობილი სასაფლაოებით. მოგვიანებით იგება სამების მომცრო ეკლესია (1790წ.), რომელსაც მომდევნო საუკუნეში უშენდება კარიბჭე და ამგვარად იძენს კლასიცისტურ ხასიათს.

გარეუბნის გეგმარების რეგულარული ხასიათი XIX საუკუნის დასაწყისში მოედნების სახით წარმოქმნილმა სატრანსპორტო კვანძებმა

განაპირობა. ამ დროს გაჩნდნენ ერევნის (დღევანდელი თავისუფლების, სხვადასხვა დროს ერქვა ზაკფედერაციის, ბერიას, ლენინის, 1917-1922 წლამდე თავისუფლების სახელსაც ატარებდა), ნიკოლოზის (მთავარმართებლის, ახლანდელი მოსწავლეთა სასახლის წინ) და ალექსანდრეს (ყაბახის ადგილას, რომლის მაწილი მოგვიანებით აითვისა ალექსანდრეს ბაღმა) მოედნები. კეთილმოეწყო გოლოვინის პროსპექტად წოდებული დიღმის გზა, რომელსაც სხვაგვარად "რუსეთის გზასაც" ეძახდნენ. **შუა კარის** მიკროუბანი ამ დროს ხდება ქალაქის ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ცენტრი. დღევანდელ **ლ.გუდიაშვილის ქუჩას ენიჭება ატამანის, მოგვიანებით ლორის-მელიქოვის სახელი. საბჭოთა პერიოდში იგი ნ.კეცხოველის ქუჩაა, რომლის სათავეში აღმართულია ხელოვნების მუზეუმად გადაკეთებული მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია.**

ლ.გუდიაშვილის ქუჩის საწყის მონაკვეთს ასახავს ფლაფსის და ი.ოკულოვსკის ფოტოსურათის მიხედვით შესრულებული 1850-1860-იანი წლების მიჯნის ლითოგრაფია. ამ ხედის საარქივო ფოტოებიც მრავლადაა შემორჩენილი.




ლ.გუდიაშვილის ქუჩის საწყისი მონაკვეთის შიდა მხარე ორი სხვადასხვა რაკურსით გადაღებულია ტფილისელი ფოტოგრაფის დ.ერმაკოვის მიერ. ფოტოებზე აღბეჭდილი ხედები გვიჩვენებენ პერსპექტივში მიმავალ სწორ ქუჩასა და მისი პერიმეტრის გასწვრივ, ერთ ხაზზე განლაგებულ ორ-სამ სართულიანი აივნიანი შენობების მჭიდრო მწკრივს. მათი დიდი ნაწილი 1900-იან წლებში აღარ არსებობს, რაც მიგვითითებს XIX საუკუნის ბოლო მესამედის განაშენიანებაზე.





მარცხენა რაკურსიდან გადაღებულ ზედა ფოტოზე კარგად ჩანს **სასულიერო სემინარიისა და სინოდის კანტორის** (ამჟამად საქ. ხელოვნების

მუზეუმის) შენობის კლასიცისტური ფასადი. მოპირდაპირე მხარეს შედარებით სადა კლასიცისტური სტილით შესრულებული აგურის ორსართულიანი აივნიანი სახლია. იგივე სიმაღლის **საცხოვრებელი ჩანს საპროექტო ტერიტორიის** ადგილზეც. სასულიერო სემინარიისა და სინოდის გვერდით ქვის გალავანშემორტყმული ეზოა, რომელიც სრულდება **გენერალური შტაბის** ორსართულიანი ნაგებობის კლასიცისტური ფასადით.

შედარებით მოგვიანო პერიოდის ქვედა ფოტოზე ქუჩა გადაღებულია მარჯვენა რაკურსიდან. უკეთ აღიქმება შენობების მარცხენა რიგი, სადაც შეინიშნება გარკვეული ცვლილებები. სასულიერო სემინარია-სინოდის წინ, **საპროექტო ტერიტორიის ადგილას ჩნდება მსუბუქად შეისრული მაღალი თაღოვანი სარკმლებით დანაწევრებული სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი,** გასული საუკუნის შუახანებიდან აქ ლომბარდი იყო განთავსებული, 1990-იან წლებში აიღეს. მის გაყოლებაზე ქვის გალავანში მოწყობილი ხის მაღალი შეისრული ალაყაფია, რომელიც ქალაქის ძველი გეგმების მიხედვით ახლანდელი ლ.გუდიაშვილის შესახვევის გასასვლელი ჭიშკარია. გალავნის შემდეგ ყოფილი **ქალთა გიმნაზიის**, ამჟამად საქ. ისტორიის მუზეუმის ქვედა კორპუსის სამსართულიანი ნაგებობის კლასიცისტური ფასადი იკითხება. გაგრძელებაზე აღბეჭდილი გალავნიანი ეზოს ბოლოში არსებული დაბალი შენობა ა.ფურცელაძისა და ლ.გუდიაშვილის ქუჩათა გადაკვეთის კუთხეში ხვდება, სადაც ახლა აღმართულია ისტორიის მუზეუმის ადმინისტრაციული კორპუსი. გადაღმა დგას დღემდე მოღწეული სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. სასულიერო სემინარია-სინოდის მხარეს იკვეთება, ახლად აშენებული ორსართულიანი ნაგებობა ყრუ კედლებითა და სადარბაზოს თავზე მოწყობილი მოდერნის სტილის მარკიზით. ქალაქის ძველი გეგმების მიხედვით წარმოადგენდა **კავკასიის სამხედრო შტაბის საოლქო საბჭოს შენობას**, სადაც ფუნქციონირებდა **კანცელარიისა და ტიპოგრაფია-ფოტოგრაფიის განყოფილებები.** 1990-იან წლებში მოპირდაპირე ნაგებობასთან ერთად ისიც დაანგრიეს. აქ საბჭოთა დროსაც მოქმედებდა ტიპოგრაფია-კარტოგრაფიის სამხედრო ქარხანა, აგრეთვე სამხედრო ტანსაცმლის სამკერვალო. მოპირდაპირე კუთხეში (საჯარო ბიბლიოთეკის 1 კორპუსის ადგილას) იკითხება ორსართულიანი სახლი, მკაცრი კლასიცისტური ფასადითა და დაკიდული აივნით. ქალაქის გეგმების თანახმად ამ სახლებში განთავსებული იყო **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა და სატელეფონო სადგური**. წინარეხანის ფოტოსთან შედარებით შენობების მწკრივი სტილისტურად უახლოვდება ერთმანეთს, ერთი სიმაღლისაა და წითელ ხოლს არ სცილდება, რაც ქუჩის განაშენიანების რეგულარული ხასიათის ჩამოყალიბებაზე მიგვითითებს.

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობს მეფისნაცვლის სასახლის შემოგარენის რეკონსტრუქცია: ჰაუპტვახტის (რუსთაველის კინოს ადგილას) გვერდით იგება **კავკასიის მუზეუმის თავდაპირველი შენობა, ლ,გუდიაშვილის ქუჩაზე ამ დროს შენდება ქალთა პირველი გიმნაზია.**



კავკასიის მუზეუმის პირვანდელი შენობის გადაღმა, შესახვევის (ნიკოლოზის) მთელ პერიმეტრზე **სასტუმრო "სევერნიე ნომერას"** ერთმანეთზე გადაბმული ორი დიდი შენობა იკითხება, პროსპექტზე გამომავალი ორსართულიანია, ლ.გუდიაშვილის (ლორის-მელიქოვის) ქუჩის მიმართულებით




სამი, რომლის ფრთა შიდა ტერიტორიაზე შემავალ ჩიხში (ნიკოლოზის სახელობის) იჭრება. შენობები XIX საუკუნის I ნახევარში ააგეს პეტერბურგიდან "გამოგზავნილი" პროექტების მიხედვით. სასტუმროს უკან აღმართულია **კ(ქ)ამოევად წოდებული წმინდა გიორგის სომხური ეკლესია**. რომელიც ფასადით ტრიალდება პროსპექტისაკენ, იმჟამად ეს მონაკვეთი შედარებით ვიწროა და **სასახლის ქუჩის** სახელს ატარებს. შიდა მხრიდან იგი შემოღობილია ქვის ქონგურებიანი მაღალი გალავნით. მთავარი ფასადი ქუჩიდან ისაზღვრება დაბალი სავაჭრო ფარდულებით, რომელთა რიგი დღევანდელი პროსპექტის

შუაწელამდე აღწევდა. ფოტოზე ასახული კამოევის ეკლესიის სახურავი, ზედ დადგმული სამრეკლოს ფანჩატურით, გვიჩვენებს საიდან იწყებოდა სასახლის ვიწრო ქუჩის წითელი ხაზი. ფარდულების რიგის კუთხიდან მოედნის



მიმართულებით მიჯრით წამოჭიმულია სამსართულიანი საცხოვრებლის ორი შენობა. მათ მჭიდრო განაშენიანებას აგრძელებს მოედნის გასწვრივ აღმართული ორი ნაგებობა, შედარებით დაბალი მოცულობა **კომერციული ბანკის შენობაა**. ეს კვარტალი აპუშკინის სკვერის გაყოლებაზე არსებულ **შტაბის ქუჩის** პერიმეტრზე მოძრაობს და ლ.გუდიაშვილის ქუჩის განაშენიანებას უერთდება.









ოთხივე მხრიდან შენობებით შემოსაზღვრული **საპროექტო ტერიტორიის შიდა ფართობი დაკვალულია ნიკოლოზის, მოგვიანებით მუზეუმის ჩიხის პერპენდიკულარულად მიბმული დამრეცად განვითარებული ვიწრო გზებით.** რომლებიც ლ.გუდიაშვილის ქუჩისა და შესახვევის მიმართულებებით სერავდნენ მას. ამ განაშენიამებამ 1930-იან წლებამდე იარსება.

**XX საუკუნის დასაწყისიდან ლ.გუდიაშვილის ქუჩაზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ინგრევა საცხოვრებელი სახლები, ფოსტა-ტელეგრაფის, ძველი ლომბარდის შენობები და თითქმის ერთდროულად შენდება რამდენიმე ბანკი: სახელმწიფო ბანკის კანტორა (1910წ.) სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის (1915წ) და სანკტ-პეტერბურგის ვოლგა-კამის კომერციული ბანკის ტფილისის განყოფილების (1915წ) ნაგებობები.**

ამ სახით ეს განაშენიანება აღწევს XX საუკუნის 70-იან წლებამდე.

XX საუკუნის 30-იან წლებში რეკონსტრუქცია მიმდინარეობს **კომინტერნის**



**(ყოფილი სასახლის) ქუჩაზე**, რომლის გაფართოების მიზნით **აიღეს შესახვევში მდებარე სასტუმროსა და ქუჩის საცხოვრებლის მოცულობები,** მათ შორის **კამოევის სომხური ეკლესიაც**. ფოტოზე ასახულია ნგრევის პროცესი. სახლების კვარტალი დარჩა მოედნის მხარეს, პუშკინის სკვერის გასწვრივ მდებარე შტაბის ქუჩის გაყოფლებაზე, 1970-იან წლებამდე ანუ ყოფილი ცეკავშირის მშენებლობამდე. ახალმშენებლობის მიუხედავად (წამოიჭიმა საცხოვრებელი კორპუსის მთელი კვარტალი), **შენარჩუნდა საპროექტო ტერიტორიაზე ძველთაგანვე დაკვალული ჩიხის ვიწრო გზები.** რეკონსტრუქციის დროს ასევე დაანგრიეს ჰაუპვახტის შენობა და მის უკან აღმართული კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესია. მათ ადგილას კონოთეატრი რუსთაველი აშენდა.



**ლგუდიაშვილის ქუჩის განაშენიანებას 1970-იან წლებამდე რეკონსტრუქცია არ შეხებია.** ამ პერიოდში მოანგრიეს საჯაროს მეორე კორპუსის ქვედა ფრთა და მის ადგილას ფუნქციონალური სტილის **ბიბლიოთეკის** **საცავის** მრავალსართულიანი კორპუსი წამოჭიმეს. როგორც ჩანს, უფრო მასშტაბიანი რეკონსტრუქციის ჩატარებასაც ისახავდნენ მიზნად. ”თბილ..ქალაქ-პროექტის” (ამჟამად შ.პ.ს. ორგანიზაცია) არქივში დაცულია

ლ.გუდიაშვილის ქუჩის განაშენიანების რეკონსტრუქციის პროექტი (არქ. ვ.ქურთიშვილი, ნ.სარალიძის მონაწილეობით), რომელიც ითვალისწინებდა ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული ცენტრის მოწყობას. ამ პროექტს უნდა უკავშირდებოდეს ერთი ათეული წლის შემდეგ მუზეუმის გალავნიანი ეზოს ადგილას აგებული ფუნქციონალიზმის სტილის **მუზეუმის საცავის** მშენებლობა. **1990-იან წლებში აიღეს მუზეუმის მოპირდაპირე, საბჭოთა პერიოდში მოქმედი ლომბარდისა (XIX ს-ში აშენდა, როგორც საცხოვრებელი) და სამხედრო ტიპოგრაფია-კარტოგრაფიის ამორტიზებული შენობებიც.** ამ ადგილებში დაწყებულია ახალმშენებლობები.

დღესდღეობით ლ.გუდიაშვილის ქუჩაზე ძირითადად საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებია განლაგებული. საცხოვრებელს მხოლოდ ორი მათგანი – სახლი №18 და №16 წარმოადგენს

**ტფილისის რუქები**

**1898 წ.** **1907 წ.** **1913 წ.**










**სამივე რუქაზე** საპროექტო ტერიტორიაზე აღნიშნულია **სასტუმროსა და სომხური ეკლესიის შენობები,** შიგნით დაკვალულია ჩიხები, **შესახვევი და ჩიხიც ნიკოლოზის** სახელობისაა. 1907წ. ჩისხ ენიჭება **მუზეუმის** სახელი. პროსპექტის ხაზს ჰქვია **სასახლის**, პუშკინის სკვერის მიმდებარე ქუჩას **შტაბის**, ლ.გუდიაშვილის ქუჩას **ა.ლორის-მელიქოვის.** შესულია III საპოლიციო უბანში. საცხოვრებელი სახლები დატანილი არ არის, რადგან ძველ გეგმებზე მათ იშვიათად აღნიშნავდნენ და არც ნომრავდნენ. **1898 წლის რუქაზე**

ნუმერაციის გარეშეა ნაჩვენები სასახლის ქუჩის პერიმეტრზე არსებული მოზრდილი სახლები. **1924 წლის რუქაზე** ნიკოლოზის შესახვევიც **მუზეუმის** სახელობის ხდება. სასახლის ქუჩას ენიჭება **კომინტერნის** სახელი.

## საპროექტო ტერიტორიის არსებული განაშენიანება



ლ.გუდიაშვილის ასგალტის საფარით მოგებული ვიწრო ქუჩის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს აყალიბებს სტილისტურად მრავალფეროვანი მჭიდროდ მიჯრილი მოზრდილი ნაგებობების მწკრივული განაშენიანება. ქუჩის დასაწყისსა და შუაწელში განთავსებულია სხვადასხვა დროისა და სტილის საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები. ქუჩის დასაწყისის დიდ ფართობზე მიმდინარეობს ახალმშენებლობები;



საპროექტო ტერიტორიის გარდა, ლგუდიაშვილისა და ა,ფურცელაძის ქუჩათა გადაკვეთის კუთხეში, სამხედრო ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის შენობის ადგილას.

საპრიექტო ტერიტორიასთან გზის გადაღმა დგას ლ.გუდიაშვილის ქუჩის სათავეში აღმართული რუსული კლასიციზმის ადრეული ნიმუშის, 1830წ. ბერნარდაცის მიერ დაპროექტებული **საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის** შენობა და უახლოეს წარსულში, 1980-იან წლებში **ფუნქციონალიზმის პრინციპით აგებული მუზეუმის საცავის** მრავალსართულიანი მოცულობა (ლ.გუდიაშვილისქ. №1). ახალი ნაგებობის მხატვრულ გადაწყვეტას ეროვნული, ფსევდოკლასიცისტური და რენესანსული მოტივების თანაარსებობით მიღწეული ეკლექტურობა ახასიათებს, რაც მიზნად ისახავს ადაპტირებული სტრუქტურის საფასადო სახის შექმნას. თანამედროვე შენობის ისტორიულ განაშენიანებასთან სინთეზირებისათვის აგრეთვე გამოყენებულია ძველი გეგმარებითი საფუძველი, მუზეუმის შენობასთან პროპორციული შეფარდება. ფუნქციურმა გააზრებამ განაპირობა შუა საუკუნეების სათავდაცვო ნაგებობათა გათანამედროვებული ელემენტებისადმი მიმართვა და ყრუ სიბრტყეების დომინირება, რამაც საცავის არიქტექტურას მძიმე და მასიური ფორმები შესძინა.







ლ.გუდიაშვილის შესახვევის საზღვრებში საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს კლასიცისტურ-რენესანსული სტილით გადაწყვეტილი **ს.ჯანაშიას სახ. საქ. ისტორიის მუზეუმის** ქვედა კორპუსი, ამჟამად ა.დიუმას ცენტრია განლაგებული (ლ.გუდიაშვილის ქ. №2). ა.ზალცმანის მიერ 1874 წელს დაპროექტებული ყოფილი ქალთა გიმნაზიის სამსართულიანი ნაგებობა. მისი ფასადების ლაკონიური გადაწყვეტა, კარ-სარკმლების ღიობების მკაცრი, მწყობრი რიტმი და არქიტექტურული მორთულობა რენესანსულ-

ბაროკალურ ტრადიციებს ემხრობა და ორგანულად იწერება ლ.გუდიაშვილის ქუჩის განაშენიანებაში.

ახალმშენებლობების მასშტაბის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქუჩის არქიტეტურულ-მხატვრული სახე ეპოქის შესატყვის ტრანსფორმაციას განიცდის და უახლოეს მომავალში კიდევ ერთი ახალი შტრიხით გამდიდრდება

## დასკვნა და რეკომენდაციები

მიკროუბნის არქიტექტურულ-მხატვრული სახის ძირითადი მახასიათებლები XIX საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა, როდესაც ევროპული და ნაციონალური ელემენტების სინთეზირებით ნაგებმა 2-3 სართულიანმა აივნიანმა სახლებმა ათვისეს მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი. **იმ დროს სასულიერო სემინარია, კეთილშობილ ქალთა გიმნაზია, სასტუმრო "ორიანტი" და საპროექტო ტერიტორიის ზედა ტერასაზე (შესახვევის სივრცეში) ერთმანეთთან პერპენდიკულარულად მდგარი სასტუმრო "სევერნიე ნომერას" შენობები წარმოადგენდნენ ქუჩაზე მოქმედ საზოგადოებრივ ნაგებობებს. ძველი ლომბარდი** (საჯაროს ადმინისტრაციული კორპუსის ადგილას) **და ფოსტა-ტელეგრაფიც** განთავსებული იყო იჯარით აღებულ საცხოვრებელ სახლებში.

XX საუკუნის მანძილზე მიკროუბნის ისტორიულ განაშენიანებას არაერთგზის შეეხო რეკონსტრუქცია. თავდაპირველად, განხორციელდა **XX საუკუნის 10-იანი წლებში, რაც დასრულდა ლ.გუდიაშვილის ქუჩის შუაწელში XIX საუკუნის საცხოვრებლების აღებით და მოზრდილი საზოგადოებრივი ნაგებობების, ბანკების აღმართვით. მომდევნო რეკონსტრუქცია ჩატარდა 1930-იანი წლების თბილისის გენ.გეგმით** გათვალისწინებული სამუშაოების თანახმად და შეეხო შესახვევის მიმდებარე ფართობს. მოედნიდან გამომავალი პროსპექტის მონაკვეთის გაფართოების მიზნით **დაინგრა სასტუმრო "სევერნიე ნომერა" და მის უკან არსებული კამოევის წმ. გიორგის სომხური ეკლესია, რომლის ადგილი დაიკავა პროსპექტის პერიმეტრზე წამოჭიმულმა საცხოვრებელმა კორპუსმა. სასტუმროს ფართობზე გაჩნდა გამწვანება. მოგვიანებით, 1970-1980-იან წლებში,** საზოგადოებრივ შენობებში მოქმედი სახელმწიფო დაწესებულებების: საჯარო ბიბლიოთეკისა და ხელოვნების მუზეუმის მოთხოვნით **ჩაიდგა საცავის დანიშნულების ორი მოცულობა.** რომელთა მხატვრული სახე განსაზღვრა ფუნქციამ და 1960-იანი წლებიდან პოპულარულმა ფუნქციონალიზმის სტილის პრინციპებმა. 1990-იან წლებში თბილისის ომმა შეიწირა ყოფილი სასტუმრო "ორიანტის", ამ ხანად "მხატვრის სახლის" შენობა. **XXI საუკუნის დასაწყისში მომხდარი ცვლილებები საპროექტო ტერიტორიასაც შეეხო და ქუჩის საწყისი მონაკვეთის ამორტიზებული ნაგებობების აღებით დასრულდა. დაინგრა XIX საუკუნის შემორჩენილი შენობები, საპროექტო ტერიტორიის ქვედა ტერასაზე, ქუჩის გასწვრივ მდებარე შენობა, სადაც საბჭოთა პერიოდში ლომბარდი**

**ფუნქციონირებდა და მოპირდაპირე კუთხეში არსებული სამხედრო ტიპოგრაფია-კარტოგრაფიის ნაგებობა.**

სხვადასხვა დროს განხორციელებული რეკონსტრუქციების შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ცვლილებები ძირითადად გაიაზრებოდა ძველ გეგმარებით სტრუქტურასა და ქუჩის კონტურებთან მიმართებაში. ამის საფუძველზე სტილურად მრავალფეროვანმა ქუჩის განაშენიანებამ ორი საუკუნის მანძილზე განვითარებული ისტორიულ-სოციალური და მხატვრულ-არქიტექტურული ფაქტორებისა და რელიეფის სპეციფიკის მიუხედავად, შეინარჩუნა მისი სახის ძირითადი თვისებები. **ნაწილობრივ ამოყვანილი მშენებარე ობიექტი ასევე გააზრებულია ტრადიციული პრინციპით. ადგილი, რომელსაც მისი მოცულობა იკავებს მოქცეულია საპროექტო ტერიტორიის ქვედა ტერასაზე ძველთაგანვე არსებულ მუზეუმის შესახვევის პერპენდიკულარულად გადაბმულ დამრეცად გაყვანილ ვიწრო გზებს შორის. აქედან გამომდინარე მისი ასიმეტრიული კონფიგურაცია პასუხობს ადრეულ გეგმარებით სტრუქტურასა და ქუჩის კონტურებს.**

ახალი მოცულობის დამატებისას, უბნის ისტორიული განაშენიანების გათვალისწინების გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მიკროუბნის თავისებურებათა დაცვას:

1 ეს ადგილი წარმოადგენს ძველი და ახალი თბილისის საზოგადოებრივ-ადმინისტრაციული ცენტრის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც ძველთაგანვე გადიოდა პროსპექტის პარალელური და მის არტერიაზე გამავალი სატრანსპორტო გზა. ამიტომ ქუჩის ისტორიულ განაშენიანებაში ახალმშენებარე ობიექტის სტრუქტურის გაჩენამ არ უნდა გამოიწვიოს არსებული არქიტექტურული ხედის მხატვრული სახის მკვეთრი ცვლილება და არ უნდა დაარღვიოს ჩამოყალიბებული განაშენიანების ერთიანი მასშტაბი.

2 ანგარიში უნდა გაეწიოს რელიეფის სირთულეს, რაც უბნის არქიტექტურის განვითარებისას გათვალისწინებული იყო ბოლო დრომდე;

3 მნიშვნელოვანია ახლადაგებული მოცულობის სართულიანობისა და საფასადო ხედების გათვალისწინება როგორც ლ.გუდიაშვილის ქუჩის, ,ასევე შესახვევის მხრიდანაც;

4 ფასადების გადაწყვეტისას უნდა მოხდეს ქუჩის არქიტექტურაში წარმოდგენილი რომელიმე სტილის, ანდა სტილთა მოდერნიზაცია და თანამედროვე კომპოზიციურ სტრუქტურაში მათი ტრანსფორმირება, რაც არ გამოიწვევს დისონანს და კონტრასტულ დაპირისპირებას ისტორიულ ნაგებობებთან. მუზეუმის საცავის ხედი ამის კარგ ნიმუშად არ უნდა მივიჩნიოთ.

5 გასათვალისწინებელია ზედა ტერასაზე გაშლილი შიდა ეზოს მოწყობის საკითხი, რადგან იგი უშუალოდ გადის ქალაქის მთავარი მაგისტრალისაკენ და საჭიროებს შესატყვისი ხედის არსებობას. ამის საფუძველზე ეზოს ტერიტორია ცალკე დაპროექტებას მოითხოვს. ავტოსადგომების გამართვასთან ერთად შესაძლებელია ისტორიული წარსულისადმი (1930-იანი წლების შემდეგ) მიმართვა და ქვაფენილიანი მოედნის ირგვლივ დეკორატიული მწვანე საფარის გაკეთება.

**ხელოვნებათმცოდნე:** **მაია იზორია**